

**მ. ლომია, რ. გერსამია. „მეგრული ტექსტები“, 199გვ.**

შეიცავს სამეგრელოში 2007-2011 წლებში ასევე სამეცნიერო გრანტების (№ D-021-08; № A-43-09) ფარგლებში ლინგვისტური ექსპედიციებისას მოძიებული მასალის მცირე ნაწილს, თუმცა წარმოდგენილია არეალური სისრულითა (აღმოსავლური, ცენტრალური, დასავლური) და უანრული მრავალფეროვნებით. ტექსტებს თან ახლავს ქართული თარგმანი. წიგნი საინტერესოა როგორც ქართველოლოგების, ასევე მკითხველთა ფართო წრისათვის.

„კადმოსის“ რედაქცია

*Nugzar Papuashvili, Aus der jüngsten Vergangenheit der georgischen orthodoxen Kirche – Die Erneuerung der Autokephalie und die Reformen. Drei kirchenhistorische Studien mit einführendem Aufsatz und Beilagen, Verlag „Universal“, Tiflis 2012, 150 Seiten, Redaktor: Reinhold Rieger.*

2012 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა ნუგზარ პაპუაშვილის ნაშრომი გერმანულ ენაზე. მისი სატიტულო სათაური ქართულად ასე უდერს: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახლო წარსულიდან – ავტოკეფალიის განახლება და რეფორმები. სამი ეტიუდი ეკლესიის ისტორიიდან შესავალი წერილითა და დანართებით.“ ნუგზარ პაპუაშვილს კარგად იცნობს ეკლესიის ისტორიისა და ქრისტიანული თეოლოგიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი. იგი არის სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი ეკლესიის ისტორიის განხრით. მისი ძირითადი სპეციალობაა ძველი ხელნაწერი წიგნებისა და საბუთების ისტორიის კვლევა, თუმცა იგი ინტენსიურად მუშაობს ბიბლიოლოგიისა და ქრისტიანული თეოლოგიის სფეროებშიც; აქვს საგანმანათლებლო და პოლემიკური სახის წერილები ეკლესიისა და სახელმწიფოს, სკოლისა და ეკლესიის, ერისა და ეკლესიის ურთიერთობის პრობლემებზეც. ნ. პაპუაშვილი რამდენჯერმე იმყოფებოდა გერმანიაში სამეცნიერო-შემოქმედებითი მიზნით სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდის დახმარების საფუძველზე. განსახილველი ნაშრომი არის მისი მრავალწლიანი შრომისა და გამოცდილების ნაყოფი და ამ ნაშრომის შექმნის იდეაც გერმანიაში მუშაობის დროს აღმოცენდა.

ტიტულიდანაც ჩანს, რომ დასახელებული წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება: 1. შესავალი; 2. კვლევები; 3. დოკუმენტები. მასზე მუშაობის მოტივიცა და საბაბიც მოცემულია შესავალ წერილში, რომლის სათაურია: „მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში დღეს და

გუშინ: აქტუალური გამოწვევები: იქ აღნიშნულია, რომ საერთაშორისო ინტერესი თანამედროვე საქართველოს რელიგიური ამბების მიმართ საკმაოდ დიდია. ავტორი ტიუბინგენსა და მიუნხენში გასცნობია ლიტერატურას, რომელშიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დღევანდლობის ამსახველი ფაქტებია თავმოყრილი. იგი ხშირად იმოწმებს შვეიცარიაში, ქალაქ ცოლიკონში, გამომავალ ჟურნალს “Glaube in der 2. Welt”, რომლის პროფილი არის „რელიგიის თავისუფლება და ადამიანის უფლებები“. ამიტომ ბუნებრივია, რომ აღნიშნული ორგანო დიდ ადგილს უთმობს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში კონფესიათაშორისი ურთიერთობის ამბებს. ყურადღების მიღმა არც საქართველო არაა დარჩენილი. წიგნში აღნიშნულია (გვ. 10-12), რომ ინფორმაციები თანამედროვე საქართველოს შესახებ ამ ჟურნალში მეტწილად ნეგატიური შინაარსისაა. წერენ, რომ პოსტსაბჭოურ საქართველოში თანდათან ძლიერდება ანტიეკუმენური ისტერია, რაც გადაჯაჭვულია ქსენოფობიასთან და ეთნორელიგიურ ნაციონალიზმთან, რის საფუძველზეც ქართველმა მართლმადიდებლებმა კათოლიკეებისა და სომხების ძველი საეკლესიო ნაგებობები, კომუნისტების დროს არარელიგიური მიზანდასახულებისამებრ გადაკეთებულნი, მიითვისეს და, ამდენად, ამ ქვეყანაში არამართლმადიდებლები შევიწროებულნი არიან; იჩაგრებიან ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები და სხვანი, ყველაზე მეტად კი იეჰოვას მოწმეები. ამაზე ლაპარაკია არა ერთსა და ორ სტატიაში, მათ შორის ვრცელ კორესპონდენციაში სათაურით: „ეკუმენიზმი არის ერესთა ერესი?!“ წიგნის ავტორი ეთანხმება ამ ფაქტების კონსტანტაციას და კრიტიკას, გაჟღერებულს თანამედროვე საქართველოს საეკლესიო წრეების მისამართით, და დასძენს, რომ არა მარტო ანტიეკუმენიზმი, ქსენოფობია და მართლმადიდებლური ნაციონალიზმი არის თანამედროვე საქართველოსათვის პრობლემა, არამედ ობსკურანტიზმიც, ფუნდამენტალიზმიც და ცრუმორწმუნეობაც. იგი შეწუხებულია იმ ვითარების გამო, რომლის თანახმად შინათაც და გარეთაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ეს თითქოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ბუნება და მისი განუყოფელი ნაწილია; თითქოს ასე იყო და ასე უნდა იყოს. ფაქტიურად წიგნის საერთო მიზანი არის იმის დასაბუთება და მკითხველების, ამ შემთხვევაში უცხოენოვანი მკითხველების, იმაში დარწმუნება, რომ ყოველივე ის, რაშიც დღეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შინ თუ გარეთ ამუნათებენ (და მეტწილად საფუძვლიანად ამუნათებენ), არ არის ამ ეკლესიის არც შინაგანი ბუნება და არც მისი ისტორიის განუყოფელი ნაწილი: მისთვის (მისი ბუნებისა და წარსულისათვის) არც

ინტერკონფესიური დიალოგია უცხო და არც სხვა აღმსარებლობისა და ტრადიციის ეკლესიებთან ტოლერანტული ურთიერთობის კულტურა. ასეთი ურთიერთობის საუკეთესო წარმომადგენლად ავტორს წარმოუდგება გიორგი მთაწმინდელი, ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, კათალიკოსი კირიონ საძაგლიშვილი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე და ილია ჭავჭავაძე, რომლებიც წმინდანებად არიან შერაცხილნი. მათ გვერდით დგანან ისეთი სასულიერო და საერო პირები, როგორებიც არიან იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, კათალიკოს-პატრიარქები ლეონიდე ოქროპირიძე და კალისტრატე ცინცაძე, რომელთა სახელებსა და გამონათქვამებს წიგნში არაერთგზის იხილავს მკითხველი. ავტორი ასეთ კითხვას სვამს: აღნიშნული პიროვნებები დღეს ცოცხლები რომ იყვნენ, დაუჭერდნენ თუ არა მხარს იმ ტენდენციებს, რაც ზემოთ დავასახელებთ? შეგვიძლია, ავტორზე დაყრდნობით, კითხვა უფრო კონკრეტული გავხადოთ: დაუჭერდა წმ. გაბრიელ ქიქოძე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეკუმენური საბჭოდან გამოსვლას? მისცემდა დასტურს წმ. კირიონ საძაგლიშვილი მართლმადიდებელთა მიერ კათოლიკური ეკლესიების მითვისებას? მოიწონებდა ილია ჭავჭავაძე ერისა და ეკლესიის იდენტიფიკაციის თეორიას? წიგნში ამ და მსგავს კითხვებზე ბევრი საყურადღებო მასალა და ინტერპრეტაცია მოიპოვება (გვ. 25-29).

ნაშრომში ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომლის თანახმად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ის მართლმადიდებლები, რომლებიც ამ მოძრაობაში იყვნენ ჩაბმულნი, მეტწილად ლიბერალური ეკლესიოლოგიის პოზიციებზე იდგნენ და ავტოკეფალიის განახლებას ისინი რეფორმების კონტექსტში მოიაზრებდნენ. და მართლაც: სათაურიდანაც ჩანს, რომ ნაშრომი ძირითადად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განახლებასა და რეფორმებს შეეხება. იმასთან დაკავშირებით, თუ ისტორიის რომელი მონაკვეთი იგულისხმება ცნებაში „ახლო წარსული“ და თუ რით იმსახურებს ეს წარსული ინტერესს, ნაშრომში ნათქვამია: „ესაა ის წარსული, რომელიც არა მხოლოდ ცოცხალია ჯერ კიდევ, არამედ, ასევე, არის სიცოცხლით სავსე დრო იმ იდეალებისათვის, რომლებსაც თანამედროვე საქართველოს რელიგიური და პოლიტიკური ელიტაც აიდეალებს და საოცნებოდ მიიჩნევს. ესაა ავტოკეფალიის განახლების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის ეპოქა. მაშასადამე, ესაა მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი, როდესაც საქართველო და ქართველი პატრიოტები ეკლესიისა და სახელმწიფოს თვითმყოფადობისათვის იბრძოდნენ... ამ ბრძოლის დროს და შემდგომ ეპოქაში, როდესაც დაიწყო ანტირელიგიური ის-

ტერია და დევნილება, გამობრწყინდნენ წამებულები, რომელთა სახელები დღევანდელი მორწმუნე პატრიოტი ქართველების მიერ დიდი სასოებით წარმოითქმება. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ: რას ამბობდნენ და წერდნენ ისინი იმ საკითხებსა და პრობლემებზე, რომლებიც დღეს ასერიგად გვაღელვებს. წინამდებარე წიგნის მიზანია, გერმანულენოვანი მკითხველების ფართო წრეს ისეთი მასალა მიაწოდოს, რომლის გათვალისწინება საჭირო და აუცილებელია, რათა ზემოთ დასმულ კითხვებზე ობიექტური პასუხების გაცემა შეეძლოს. თანამედროვე საქართველოს რელიგიური ვითარების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის რეფორმებზე უარის თქმა, რადგან ფიქრობენ, რომ რეფორმები მართლმადიდებელი ეკლესიისათვის და, განსაკუთრებით, ქართულ-მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სრულიად უცხო და მიუღებელი მოვლენაა. შევეცდებით მოვიყვანოთ სათანადო ფაქტები და ვაჩვენოთ, თუ რა ვითარებაა სინამდვილეში... აღნიშნული პერიოდი სწორედაც რომ მომხიბლავ პერიოდად რჩება ქართველი ხალხის გარდასულ დღეთა სიმრავლეში... მასთან დაკავშირებული არიან ჩინებული სასულიერო მოღვაწეები და წმინდანები. ამიტომ მთავარი კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში იჩენს თავს, შემდეგნაირად უღერს: რას იფიქრებდნენ ხსენებული წმინდანები, ცოცხლები რომ იყვნენ, იმ პროცესებზე, რაც თანამედროვე საქართველოში ხდება?... კონკრეტულად: დაუჭერდნენ თუ არა ისინი მხარს, მაგალითად, კალენდრის რეფორმას? რას გვეუბნება და რას გვასწავლის ამის შესახებ მათი სიტყვა და საქმე?“ (გვ. 29-31) არსებითად ესაა განსახილველი ნაშრომის მთავარი მიზანი.

წიგნი შედგება სამი თავისაგან და, შესაბამისად, შეიცავს სამ ეტიუდს, რომელთაგან პირველი პირველად ქვეყნდება. მისი სათაურია „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის“. იგი ქვეთავებადაა დაყოფილი: შესავალი, წარსულიდან, ეპოქათა გასაყარზე, თავისუფლება და ავტოკეფალიის აღდგენა, მონობა და დევნილება, მიმართვა საერთაშორისო საზოგადოებას, ეკლესიის სასტიკი დევნა, წინააღმდეგობა და შეგუება, ახალი რელიგიური პოლიტიკა, რეფორმები ეკლესიის შიგნით და კულტურულ-საზოგადოებრივი პოზიცია. ამ თავის მოკლე ვარიანტი ქართულად ამავე სათაურით (1996) გამოქვეყნდა. მისი მეორე ნაწილი კი იმავე წელს გერმანულად დაიბეჭდა (*Antireligiöse Hysterie und Verfolgung*: G2.W, 1996, No 3, S. 18-22). დანარჩენი ორი თავი არის გადაამუშავებული და შევსებული ვარიანტები უკვე გამოქვეყნებული წერილებისა: თავი მეორე – კორნელი კეკელიძე საქართველოს ეკლესიის კრებაზე 1917 წელს და ორი კანონიკური დოკუმენტის ატრიბუციის საკითხი (ამ წერილის პირვე-

ლი ვარიანტი ჟურნალ Oriens Christianus-ში გამოქვეყნდა 2008 წელს), თავი მესამე – კალენდრის ახალი განგება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (იგი ჯერ მოხსენების სახით იქნა წაკითხული 2010 წლის 6 თებერვალს გერმანიის ქალაქ აიჰშტეტში Collegium Orientale – ს სემინარზე, შემდეგ კი დაიბეჭდა იმავე კოლეგიუმის ჟურნალში ContACO, 2009, N 11). იმ მიზანდასახულობის შესაბამისად, რაც ჩამოყალიბებულია შესავალში და რასაც ჩვენ უკვე შევხებით, ნაშრომის სამივე თავში მკითხველს არა ერთი და ორი საყურადღებო დოკუმენტის გაცნობის შესაძლებლობა ეძლევა. ეს დოკუმენტები ცხად პასუხს იძლევა იმ კითხვაზე, რომელიც ნაშრომის მთავარი კითხვაა. პასუხი ასეთია: არც ინტერკონფესიური, არც ლიბერალური და არც რეფორმატორული მისწრაფებები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიისათვის, ამ ისტორიის მაგისტრალური ხაზისათვის, წმინდანთა იმ დასისათვის, რომლებიც ამ ისტორიას ამდიდრებენ და ალამაზებენ, უცხო არ არის. უცხოენოვანი მეცნიერისათვის განსაკუთრებით ფასეულია მესამე თავი, რომელშიც ვრცლადაა საუბარი საქართველოს ეკლესიაში კალენდარული რეფორმის შესახებ მე-20 ს-ის 20-იან წლებში. იმას, ვინც ქართულ ენას ვერ ფლობს, ეძლევა შესაძლებლობა, გაეცნოს მხოლოდ ძველ ქართულ ხელნაწერებში შემონახულ ერთ უნიკალურ ძეგლს. ესაა წმ. იუსტინიანე იმპერატორის ეპისტოლე იერუსალიმელ მორწმუნეებს შობის, ნათლისღების, მირქმისა და ხარების დღესასწაულთათვის. ავტორს ნათარგმნი აქვს ამ, მხოლოდ ქართულ თარგმანში შემონახული ძეგლის, მნიშვნელოვანი ადგილები, რაც დასაფასებელია.

წიგნს ახლავს, ვრცელი შესავლის გარდა, დანართი, რომელშიც წარმოდგენილია სამი ისტორიული დოკუმენტი: 1. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის წერილი რომის პაპ ბენედიქტე XV-ს; 2. კათალიკოს-პატრიარქ ამბროსისა და საკათალიკოსო საბჭოს ეპისტოლე კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბასილი III-ს და 3. გროგოლ ფერაძის სიტყვა, წარმოთქმული ლოზანის კონფერენციაზე. მეცნიერულ-არქეოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-2 დოკუმენტი, რადგან ამ ეპისტოლეს როგორც ორიგინალი (ქართული ტექსტი), ისე ფრანგული თარგმანი, რომლის თანხლებითაც იგი აღრესატს გაეგზავნა, პირველად ქვეყნდება.

წიგნს ახლავს რედაქტორის, ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორის, რაინჰოლდ რიგერის სიტყვა, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარ გამოკვლევებს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. რედაქტორის თქმით, ჩვენს თვალწინ იშლება არა მარტო საქართველოს ეკლესიის თვითგამორ-